საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ბრძანება № 178/19

"23" სექტემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე ცალკეული პირებისათვის დამატებითი რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის თაობაზე

,,2019 წლის საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ორგანიზებულ ტესტირებაზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის თაობაზე'' სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -,,ცენტრი'') დირექტორის 2019 წლის 5 სექტმებრის N165/19 ბრძანების შესაბამისად რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2019 წლის 10 სექტემბრიდან 2019 წლის 17 სექტემბრის 18:00 საათის ჩათვლით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, ტესტირების საფასური მოიცავს ტესტირებაში მონაწილეობის საფასურს, რომელსაც იხდის ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირი და რომლის ოდენობაც თითოეულ საგანში შეადგენს 50 ლარს. ასევე, ამავე დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილ პირებს სპეციალური პროგრამა არ შეუშვებს სისტემაში, თუ მას წინასწარ არა აქვს გადახდილი ტესტირებაში მონაწილეობის საფასური.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში

0186 თბილისი, მინდელის ქ. 9
ტელ (+995 32) 2 47 33 33;

განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებელს არ უწევს ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის საფასურის გადახდა.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან დაკავშირებით, კერძოდ კი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ პრაქტიკოსი მასწავლებლების თაობაზე მონაცემების გათვალისწინებისას, ცენტრი ეყრდნობა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

შესაბამისად, ის პირები, რომლის თაობაზეც სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ იყვნენ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებლები, გათვალისწინებულ იქნენ ცენტრის მონაცემთა ბაზებში და საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ორგანიზებულ ტესტირებაზე დარეგისტრირდნენ რეგისტრაციის საფასურის გადახდის გარეშე. თუმცა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2019 წლის 16 სექტემბრის N1208315 წერილით დამატებით მოწოდებულ იქნა ინფორმაცია იმ პირთა თაობაზე, რომელთაც მიენიჭათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი და აქედან გამომდინარე, ისინი ამჟამად, არ სარგებლობენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით, მაგრამ რეგისტრაციის საფასურის გადახდის გარეშე არიან დარეგისტრირებულნი საგნობრივი კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ საგნის გამოცდაზე/საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე იმ აპლიკანტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლები და

რეგისტრაციის ვადის განმავლობაში (2019 წლის 10 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით) შეეცვალათ სტატუსი/აღარ ფლობენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს- ან რომელთა სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაცია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ბაზაში აისახა/განახლდა რეგისტრაციის დაწყების შემდეგ და გადახდილი არ აქვთ რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული საფასური, რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული საფასურის დამატებით გადახდის ვადად განესაზღვროთ 2019 წლის 25 სექტემბრის 10:00 საათიდან 2019 წლის 7 ოქტომბრის 18:00 საათის ჩათვლით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს გაუუქმდეთ რეგისტრაცია 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ საგნის გამოცდაზე/საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე.

3. დაევალოს ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის საჭირო ზომების მიღება.

4. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამსახურს ს.ს საქართველოს ბანკისათვის ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება.

5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. დაევალოს ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგისა და იურიდიული სამსახურისათვის.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი **კახა ჯამბურია**